

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია



ალტერნატიული მოსაზრებები

იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

(№ 73235/12; 71156/01; 28490/02; 18766/04)

-

ჯგუფის საქმეებზე ადამიანის უფლებათა ევროპული
სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ

მაისი, 2021

შინაარსი

| | |
|--|----------|
| 1. შესავალი | 3 |
| 2. იდენტობის ჯგუფის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა | 4 |
| <i>i. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№ 73235/12, 12/05/2015).....</i> | <i>4</i> |
| <i>ii. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი (no. 71156/01, 03/05/2007), ბელელური და სხვები (no. 28490/02, 07/10/2014), ცარციძე და სხვები (no. 18766/04, 17/01/2017) საქართველოს წინააღმდეგ.....</i> | <i>5</i> |
| 3. მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა | 6 |
| 4. ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შესახებ..... | 7 |
| 5. ზოგადი ღონისძიებების აღსრულების ნაწილში გამოვლენილი ხარვეზები | 8 |
| 5.1 ლგბტ+ თემისა და იეჰოვას მოწმეების უფლებრივი მდგომარეობა..... | 8 |
| 5.2 შსს-ში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფის არარსებობა | 12 |
| 5.3 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრობლემა..... | 13 |
| 5.4 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა..... | 14 |
| 6. რეკომენდაციები..... | 15 |

1. შესავალი

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის ევროპული კონვენცია, რომელიც ევროპული საჯარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად არის აღიარებული, მაღალ ხელშემკვრელ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებების დაცვასა და განმტკიცებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.¹ თავის მხრივ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები რეალური, ხელშესახები შედეგის მომტანი, მხოლოდ მაშინ იქნება, თუკი ეროვნულ დონეზე სახელმწიფო მათ ეფექტიან აღსრულებას უზრუნველყოფს და, ამ მიზნით, მისთვის დაკისრებულ ინდივიდუალურ და ზოგად ღონისძიებებს გაატარებს.
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ (შემდგომში - საია) შემუშავებული წინამდებარე ალტერნატიული მოსაზრებები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი **იდენტობის ჯგუფის საქმეების** აღსრულების მდგომარეობას შეეხება. აღნიშნული დოკუმენტის ფარგლებში, საია აფასებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს, და, დამატებით, მიუთითებს იმ ზოგად ზომებზე, რომელთა გატარებაც, გადაწყვეტილებების ეფექტიანად აღსასრულებლად აუცილებელია.
3. ამ მიზნით, წინამდებარე დოკუმენტი მოკლედ მიმოიხილავს ევროპული სასამართლოს მიერ იდენტობის ჯგუფის საქმეებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის გადაწყვეტილებას, მთავრობის მიერ გატარებულ ზოგად ღონისძიებებს, და გამოკვეთს აღსრულების პროცესში გამოვლენილ ხარვეზებს. ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით კი, შესაბამის რეკომენდაციებს გასცემს. დამატებით, აღსანიშნავია, რომ საია იდენტობის ჯგუფის საქმეების ეფექტიანი აღსრულების საჭიროების შესახებ საქართველოს პარლამენტის წინაშე 2019 და 2020 წელს წარდგენილ ალტერნატიულ ანგარიშებშიც საუბრობდა.²

¹ იხ. მრავალ სხვათა შორის: ლოიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ (Loizidou v. Turkey), no. 15318/89, 23.03.1995, პარ 75;

² იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის წინაშე 2019 წელს წარდგენილი ალტერნატიული ანგარიში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2018 წლის (1-6104/19/9; 27.03.2019) ანგარიშზე, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების მდგომარეობას შეეხება, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-alternatiuli-angarishi-tsarudgina>, [24.04.2021]; იხ. ასევე, საიას 2020 წლის ალტერნატიული ანგარიში იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის ანგარიშზე, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/saiam-parlaments-strasburgis-sasamartlos-saqmeebis-aghsrulebis-mdgomareobis-shesakheb-alternatiuli-angarishebit-mimarta>, [24.04.2021];

2. იდენტობის ჯგუფის საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებების მოკლე მიმოხილვა

4. 2008 წლიდან დღემდე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ იდენტობის ჯგუფის საქმეებზე საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესს ზედამხედველობს. იდენტობის ჯგუფი 4 საქმეს აერთიანებს.
5. ეს საქმეები ეხება სახელმწიფოს მიერ ლგბტ+ აქტივისტებისა (2012 წლის მაისში) და იეჰოვას მოწმეების (1999-2001 წლებში) მიმართ ფიზიკური პირებისგან მომდინარე არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან არასათანადო დაცვას. კერძოდ, ხსენებულ პერიოდებში შეკრებებისა თუ მარშების მიმდინარეობისას, ფიზიკურმა პირებმა ლგბტ+ პირებსა და იეჰოვას მოწმეებზე სასტიკი თავდასხმები განახორციელეს, რასთან დაკავშირებითაც, სახელმწიფომ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, მათ შორის, არ გამოკვეთა განხორციელებული ქმედების დისკრიმინაციული მოტივი.

i. იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (№ 73235/12, 12/05/2015)

6. საქმე³ შეეხება 2012 წლის 17 მაისს, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, სახელმწიფოს მიერ კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან მომდინარე ძალადობისგან მშვიდობიანი ლგბტ+ აქტივისტების არასათანადო დაცვას და ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების განუხორციელებლობას.
7. მოცემულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა) და მე-11 მუხლების (შეკრების და გაერთიანების თავისუფლება) დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.
8. სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ორგანიზატორებმა წინასწარ გააფრთხილეს პოლიცია დემონსტრაციის ჩატარების, ისევე, როგორც, მოსალოდნელი ძალადობის შესახებ. შესაბამისად, საქართველოში სექსუალური უმცირესობების მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებული უარყოფითი განწყობის ფონზე, პოლიციამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა კონტრ-დემონსტრანტების მხრიდან მომდინარე რისკების შესახებ და პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში უნდა დაეცვა დემონსტრანტები, რაც მან არ განახორციელა. სახელმწიფომ, ასევე, ვერ შეასრულა თავისი პროცედურული ვალდებულება, ჩაეტარებინა ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფდა შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთასა და ჰომოფობიური ძალადობის ჩამდენი პირების იდენტიფიცირებას.

³ იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Identoba and Others v Georgia*), no. 73235/12, 12/05/2015;

ii. გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი (no. 71156/01, 03/05/2007), ბელელური და სხვები (no. 28490/02, 07/10/2014), ცარციძე და სხვები (no. 18766/04, 17/01/2017) საქართველოს წინააღმდეგ

9. საქმეები⁴ შეეხება 1999-2001 წლებში იეჰოვას მოწმეების მიმართ სხვადასხვა ჯგუფის, მათ შორის, ექსტრემისტ მართლმადიდებელთა ჯგუფის, ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ, რელიგიური ნიშნით ძალის გამოყენებასა და თავდასხმას, და ამ ფაქტებზე ეფექტიანი გამოძიების განუხორციელებლობას.
10. სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის (აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება) დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, ხოლო ბელელურის და გლდანის კონგრეგაციის საქმეებში, დამატებით, მე-3 მუხლის (არსებითი და პროცედურული ნაწილების) დარღვევა დაადგინა. სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ ინციდენტებში სახელმწიფოს წარმომადგენელთა პირდაპირი მონაწილეობის, წაქეზების თუ, სულ მცირე, ნების დართვის შედეგად, სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, რათა დაეცვა იეჰოვას მოწმეთა რელიგიის თავისუფლება. აღნიშნულით სახელმწიფომ ხელი შეუწყო ქვეყნის მასშტაბით იეჰოვას მოწმეების მიმართ ძალადობის წახალისებას. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ სახელმწიფომ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძიება, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფდა რელიგიური მოტივის გამოკვეთას, მიუხედავად იმისა, რომ იეჰოვას მოწმეებზე თავდასხმის დროს თავდამსხმელთა (როგორც კერძო პირების, ასევე სახელმწიფოს წარმომადგენლების) დისკრიმინაციული მოტივი აშკარა იყო საქართველოში იმ დროს გავრცელებული ცრურწმენებისა და ძალადობის მასშტაბების გათვალისწინებით.
11. დამატებით, ცარციძის და ბელელურის საქმეებში ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ეროვნულ სასამართლოებში მიმდინარე სამართალწარმოება იყო ზედაპირული და მიკერძოებული, რამაც განაპირობა მომჩივანთა პოზიციის დაუსაბუთებლად უარყოფა და პოლიციის ვერსიების იმთავითვე სიმართლედ მიჩნევა.

⁴გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ (*97 Members of the Gldani Congregation of the Jehova's Witnesses and 4 Others v. Georgia*), no. 71156/01, 03/05/2007; ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Begheluri and Others v. Georgia*), no. 28490/02, 07/10/2014; ცარციძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Tsartsidze and Others v. Georgia*), no. 18766/04, 17/01/2017;

3. მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა⁵

12. მინისტრთა კომიტეტმა იდენტობის ჯგუფის საქმეების აღსრულების მდგომარეობა ბოლოს 2020 წლის 29 სექტემბერი - 01 ოქტომბრის პერიოდში განიხილა. აღნიშნული შეხვედრის ფარგლებში, კომიტეტმა დადებითად შეაფასა სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა ინსტიტუტის შექმნა, ასევე, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის პრიორიტეტულად ამ კატეგორიის საქმეებში ჩართულობა. კომიტეტმა ინტერესით აღნიშნა საქართველოს შსს-ის ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამომძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატის გაფართოება. მან, ასევე, პოზიტიური განწყობა გამოხატა მთავრობის მიერ დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა თემატიკაზე შეთავაზებულ ტრენინგებსა და ევროპის საბჭოს “HELP”-ის პროგრამის სასწავლო კურსში გამომძიებლების, პროკურორებისა და მოსამართლეების აქტიური ჩართულობის მიმართ. კომიტეტმა კმაყოფილებით შენიშნა 2018-19 წლებში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა გამომძიების, დევნისა და მსჯავრდების სტატისტიკური მონაცემის ზრდა.

13. მიუხედავად ზემოხსენებული დადებითი შეფასებებისა, მინისტრთა კომიტეტის 2020 წლის გადაწყვეტილებაში, ასევე, ნათლად ჩანს, რომ საქართველო კვლავ დგას იმ გამოწვევების წინაშე, რომლებიც, ასევე, იყო აქტუალური კომიტეტის 2019 წლის სექტემბრის გადაწყვეტილებაში,⁶ და, რომლებთან მიმართებითაც, მინისტრთა კომიტეტმა სახელწიფოს ძალისხმევის გაორმაგებისა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა. კერძოდ, კომიტეტი მწუხარებით შენიშნავს, რომ:

- **გამოწვევად რჩება** სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია, მათ შორის ლგბტ+ ადამიანებისა და იეჰოვას მოწმეების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების კუთხით.
- **გამოწვევად რჩება** გამომძიების პროცესში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა, ხოლო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირება, და, შესაბამისად, დისკრიმინაციული მოტივის გამორიცხვა.⁷
- **ისევ არ შექმნილა** შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სპეციალიზირებული საგამომძიებო ნაწილი. კერძოდ, კომიტეტმა მიუთითა, რომ სახელმწიფოს მისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია

⁵ CM/Del/Dec(2020)1383/H46-5, 1383rd meeting, 29 September – 1 October 2020 (DH), Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), Supervision of the execution of the European Court’s judgments, ხელმისაწვდომია, <http://hudoc.exec.coe.int/eng?i=004-5894>, [14.04.2021];

⁶ CM/Notes/1355/H46-8, 1355th meeting, 23-25 September 2019 (DH) Human Rights, H46-8 Identoba and Others group v. Georgia (Application No. 73235/12), Supervision of the execution of the European Court’s judgments, ხელმისაწვდომია, <http://hudoc.exec.coe.int/eng?i=CM/Notes/1355/H46-8E>, [14.04.2021];

⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც ქმედების დამამძიმებელ გარემოებას;

სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების ჩატარების უფლებამოსილებით აღჭურვილი სპეციალური ორგანოს შექმნის თაობაზე, რის გამოც კომიტეტმა თავისი მოთხოვნა აღნიშნულთან მიმართებით ძალაში დატოვა და, მოუწოდა სახელმწიფოს, უზრუნველყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სპეციალიზირებული საგამოძიებო ნაწილის შექმნა.

4. ინფორმაცია საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ზოგადი ღონისძიებების შესახებ

14. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ იდენტობის ჯგუფის საქმეებზე ანგარიში მინისტრთა კომიტეტის წინაშე ბოლოს 2020 წლის 25 ივნისს,⁸ ხოლო პარლამენტში - 2021 წლის 31 მარტს წარადგინა.⁹ წარდგენილ ანგარიშებში სახელწიფო ხაზს უსვამს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის პრიორიტეტულ ხასიათსა და ამ მიზნით გატარებულ ღონისძიებებს.
15. ანგარიშებში იუსტიციის სამინისტრო მიუთითებს სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლების ინსტიტუტის შექმნაზე, რის შედეგადაც გაიზარდა ამ კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების რიცხოვრივი მაჩვენებელი და დისკრიმინაციული ნიშნების იდენტიფიცირება. ასევე, დეტალურად ჩამოთვლის იმ ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, რომლებიც სიძულვილის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით ჩატარდათ სასამართლო და საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებს, აქვე, ასახელებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ფარგლებში განხორციელებულ აქტივობას. სახელწიფომ წარადგინა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯადობის კუთხით არსებული სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ 2020 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული მემორანდუმისა და ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავდა.
16. სახელმწიფომ ერთ-ერთი ზოგადი ღონისძიების სახით მიუთითა შსს-ის ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მანდატის გაფართოებასა და მისი, როგორც დამატებითი

⁸ Communication from Georgia concerning the case of IDENTOBA AND OTHERS v. Georgia (Application No. 73235/12), 1383rd meeting (29 September - 1 October 2020) (DH) - Action report (25/06/2020), §§ 28-60; ხელმისაწვდომია: [http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD\(2020\)572E](http://hudoc.exec.coe.int/eng?i=DH-DD(2020)572E), [15.04.2021];

⁹ 2020 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების/განჩინებების აღსრულების შესახებ (მიმდინარე საქმეები), საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, 2021, 53-63, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/21857>, [15.04.2021];

კონტროლის მექანიზმის მნიშვნელობაზე - ხელი შეუწყოს დისკრიმინაციული მოტივის იდენტიფიცირებას დანაშაულებში.

5. ზოგადი ღონისძიებების აღსრულების ნაწილში გამოვლენილი ხარვეზები

17. იმისთვის, რომ მოხდეს იდენტობის ჯგუფის საქმეების ეფექტიანი აღსრულება, საჭიროა, მრავალმხრივი ცვლილებები, როგორც ინსტიტუციონალურ, ისე სოციალურ დონეზე. ქვემოთ განხილული იქნება საქმესთან კავშირში მყოფი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც ხელს შეუწყობს საქართველოში ლგბტ+ ადამიანებისა და იეჰოვას მოწმეების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.1 ლგბტ+ თემისა და იეჰოვას მოწმეების უფლებრივი მდგომარეობა

18. სახელწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ლგბტ+ პირებისა და, რელიგიური უმცირესობების, მათ შორის, იეჰოვას მოწმეების უფლებრივი მდგომარეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება.¹⁰ საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპული შეხედულებები თუ წინასწარგანწყობები, ასევე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და დისკრიმინაციის შემთხვევები ამ ჯგუფებს განსაკუთრებით მოწყვლადად აქცევს.¹¹ ლგბტ+ პირები განიცდიან დაბრკოლებებს შრომითი უფლებების, ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებთან წვდომის, ასევე, განათლების უფლების სრულფასოვანი სარგებლობის კუთხით.¹² სახელმწიფო ჰომოფობიასა და ტრანსფობიას დღემდე არა სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემად, არამედ ინდივიდუალურ საკითხად განიხილავს, რის გამოც სახელმწიფოს მიერ ჰომოფობიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დასახულ მთავარ სტრატეგიად კვლავ მის ინდივიდუალურ გამოვლინებებზე შერჩევითი სადამსჯელო პასუხი რჩება.¹³

¹⁰ საქართველოს სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის, იანვარი-თებერვალი 2021, პარ. 29;

ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020072014193876204.pdf>, [24.04.2021].

¹¹ სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 10.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-adamianis-uflebata-saertashoriso-dghestan-dakavshirebit>, [24.04.2021]; იხ. ასევე, განცხადება „სახალხო დამცველმა ტრანსგენდერი ქალისთვის ბინის მიქირავებაზე უარის გამო დისკრიმინაცია დაადგინა“, 21.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelma-transgenderi-kalistvis-binis-mikiravebaze-uaris-gamo-diskriminatsia-daadgina>, [24.04.2021]; იხ. ასევე, სახალხო დამცველის განცხადება უფლებადამცველთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 09.12.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-uflebadamtsvelta-saertashoriso-dghestan-dakavshirebit>, [24.04.2021];

¹² საქართველოს სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის, იანვარი-თებერვალი 2021, პარ. 37;

¹³ რადიო თავისუფლება, “ NGO-ები: ჰომოფობიური ძალადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა“, 27.04.2021, ხელმისაწვდომია:

19. ამასთან, საგანგაშოა, რომ ჰომოფობიური და ანტიგენდერული ჯგუფების რაოდენობის ზრდისა და გავლენის გამო, ლგბტ+ პირები კვლავ ექვემდებარებიან ჩაგვრას, ძალადობას და დისკრიმინაციას.¹⁴ მაგალითისთვის, 2020 წლის მაისის შემდეგ, რადიკალურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან ლგბტ+ თემის წევრებზე თავდასხმის შემთხვევებს სისტემური ხასიათი აქვს.¹⁵ აღნიშნული გამოიხატებოდა, მაგალითად, თბილისი პრაიდის ოფისის საღებავით დაზიანების, კვერცხების სროლის, დროშის მოპარვის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და მუქარის ფაქტებში.¹⁶ მიუხედავად იმისა, რომ დარღვევათა უმეტესობა ჩადენილია კერძო პირების მიერ, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ძალადობის ეფექტიან პრევენციას, ხოლო უკვე მომხდარზე, მყისიერ რეაგირებას ეფექტიანი გამოძიების ჩატარების კუთხით.¹⁷ უფრო მეტიც, სახელმწიფოს თითქმის არ აქვს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისათვის ბრალდებული პირების რესოციალიზაციისა და ტრანსფორმაციის ქმედითი პოლიტიკა.¹⁸ სამწუხაროა, რომ გასულ წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა ლგბტ+ თემის უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.¹⁹
20. ვითარება, ასევე, არ გაუმჯობესებულა იეპოვას მოწმეთა უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ვინაიდან, სახალხო დამცველის ცნობით, კვლავ მაღალია სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მათი

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31225299.html?fbclid=IwAR3XkR5FjJWsiUJy06qrI0Idag3eSVktY3N0AD9OPKxBfqB00NYmgjrdtQk>, [28.04.2021];

¹⁴ იქვე; იხ. ასევე, US State Department, 2020 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, 2021, 61-2, ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/reports/2020-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>, [24.04.2021];

¹⁵ იხ. მაგალითად, უახლესი შემთხვევები: მთავარი არხი, „მორიგი თავდასხმა ლესბოსელ წყვილზე“, 24.04.2021, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/41209-erti-gogo-gonebis-dakargvamde-utsemia-meore>, [24.04.2021]; მთავარი არხი, „თბილისში ლესბოსელ წყვილს თავს დაესხნენ“, 21.04.2021, ხელმისაწვდომია: <https://mtavari.tv/news/40927-tbilisshi-lesbosel-cqvils-tavs-daeshnen>, [24,04,2021];

¹⁶ სახალხო დამცველის განცხადება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ციტ. ზემოთ, 10.12.2020; იხ. ასევე, სახალხო დამცველის განცხადება: შეხვედრა თბილისი პრაიდის ოფისზე გახშირებულ თავდასხმებთან დაკავშირებით, 06.10.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/shekhvedra-tbilisi-praidis-ofisze-gakhshirebul-tavdashmebtan-dakavshirebit>, [24.04.2021]; იხ. ასევე, ნეტგაზეთი, “თბილისი პრაიდის” ოფისს საღებავები ესროლეს, 08.06.2020,

ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/news/458826/?fbclid=IwAR1bnwoq49uD7g8tIVbUpxWfNcXJHBcIdu8zoxyL9CYKLCief2xn-mfGPU> [18.04.2021];

¹⁷ საქართველოს სახალხო დამცველის ალტერნატიული ანგარიში გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვისთვის, იანვარი-თებერვალი 2021, პარ. 38;

¹⁸ რადიო თავისუფლება, “ NGO-ები: ჰომოფობიური ძალადობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა“, ციტ. ზემოთ, 27.04.2021;

¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020), 31.03.2021, 205, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelis-sakhalkho-damtsvelis-saparlamento-angarishi-2020>, [24.04.2021].

მომართვიანობა, წუხილები კი, ძირითად შემთხვევებში, ასეთ ქმედებებზე გამოძიების არაეფექტიანობას ეხება.²⁰ ამას ადასტურებს ის, რომ, მართალია, 2020 წელს, წინა წლების პრაქტიკისგან განსხვავებით, იეჰოვას მოწმეებთან მიმართებით სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ჩადენისას გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლით, რომელიც ითვალისწინებს სიძულვილის მოტივს, თუმცა, გამოძიების გაჭიანურებული ხასიათი ამგვარ ქმედებებზე სახელმწიფოს რეაგირებას ეფექტიანობას უკარგავს.²¹ ამასთან, მკვეთრად დაბალია ზემოთ ხსენებულ საქმეებში პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისა და ბრალის წარდგენის შემთხვევები.²²

21. სამწუხაროა, რომ დისკრიმინაციის წახალისება საჯარო პირებისა და მედიის მხრიდანაც ხდება,²³ მაშინ როდესაც სწორედ მათ უნდა შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი ჰომოფობიასა თუ რელიგიური ნიშნით შეუწყნარებლობასთან ბრძოლის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში.²⁴ ქვეყანაში დასახელებული ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ასევე, მიუთითებს Rainbow Index-ის მონაცემებიც, რომლის მიხედვითაც სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებსა და სიძულვილის ენასთან ბრძოლის თვალსაზრისით 49 ევროპულ ქვეყანას შორის, საქართველო მხოლოდ 30-ე ადგილს იკავებს, მაჩვენებელი კი 26%-ია.²⁵
22. გასულ წლებთან შედარებით, 2020 წელს ახალი გამოწვევა აღმოჩნდა მსოფლიოში პანდემიით შექმნილი მდგომარეობა. კერძოდ, Covid-19-ით გამოწვეული მდგომარეობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ნეგატიურად აისახა ლგბტ+ ადამიანებისა და უმცირესობის სხვა წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანობაზე.²⁶ ამ მხრივ, არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი, კერძოდ, ეპიდემიოლოგიურმა ვითარებამ უარყოფითი გავლენა იქონია ლგბტ+

²⁰ იქვე., 182.

²¹ იქვე.;

²² იქვე.;

²³ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020), 31.03.2021, 180-1; ციტ: გადაცემა „ფარული კონვერტი“ ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/elpzhm> [17.04.2021];

²⁴ COMPILATION OF ECRI COUNTRY REPORTS RECOMMENDATIONS PERTAINING TO LGBT PERSONS, (fifth monitoring cycle), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/09000016809e7b66> [17.04.2021]; COVID-19 AND THE HUMAN RIGHTS OF LGBTI PEOPLE, United Nations Human rights office of the high commissioner, 17.04.2020. [18.04.2021];

²⁵ Rainbow Index, ხელმისაწვდომია: <https://www.rainbow-europe.org/#8634/8693/8694> [17.04.2021];

²⁶ Report on the impact of the COVID-19 pandemic on the human rights of LGBT persons, 28.07.2020, ხელმისაწვდომია: <https://www.ohchr.org/EN/Issues/SexualOrientationGender/Pages/COVID19Report.aspx> , [17.04.2021];

თემისა და რელიგიური უმცირესობების თანასწორობის უფლების ეფექტიან რეალიზებაზე.²⁷

23. პანდემიიდან გამომდინარე, 2020 წელს ჰომოფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე (17 მაისი) ონლაინ რეჟიმში ჩატარდა.²⁸ თუმცა, აღსანიშნავია, რომ ზოგადად, კრიტიკულია მდგომარეობა ლგბტ+ თემის წევრების მიერ შეკრებისა თუ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის კუთხით. 2013 წლის 17 მაისის მძიმე გამოცდილების მიუხედავად, ხელისუფლება უკვე წლებია ვერ უზრუნველყოფს ლგბტ+ თემის შეკრების თავისუფლების დაცვას და ღიად ახდენს მათი უფლებების უგულვებელყოფას.²⁹ თემის უფლებრივი მდგომარეობა წლიდან წლამდე არ უმჯობესდება. მაშინ, როდესაც უფლებების შეზღუდვის ფაქტები კერძო პირებისგან მომდინარეობს,³⁰ სახელმწიფო, უმეტეს შემთხვევაში, უმოქმედო რჩება და პოზიტიურ ვალდებულებებს ვერ ასრულებს.³¹ სწორედ ამის შედეგია ის, რომ ლგბტ+ თემის ნაწილი საერთოდ უარს ამბობს 17 მაისის საჯარო სივრცეში მანიფესტაციის ფორმით აღნიშვნაზე.³²
24. ზემოთ განხილული პრობლემები ადასტურებს, რომ სახელწიფოს მიერ აღმოფხვრილი არ არის იდენტობის ჯგუფის საქმეებში აღწერილი უფლებათა დარღვევები. უფრო მეტიც, ლგბტ+ პირებისა და იეჰოვას მოწმეების გამოხატვის, შეკრების, სოციალური თუ ეკონომიკური უფლებრივი მდგომარეობა კვლავ გამოწვევად რჩება, რისთვისაც სისტემური ხასიათის რეფორმებია საჭირო.

²⁷ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020), 31.03.2021, 17; იხ. ასევე, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, „არა ფობიას!“ განცხადება შობის ღამეს გამონაკლისის დაწესებაზე, 30.11.2020. ხელმისაწვდომია: <http://tdi.ge/ge/statement/ara-pobias-gancxadeba-shobis-games-gamonaklisdacesebaze>; საეკლესიო ანტისემიტიზმი - განახლებადი ინფორმაცია, 09.02.2021, ხელმისაწვდომია: <http://tdi.ge/ge/statement/saeklesio-antisemitizmi-ganaxlebadin-pormacia>, [18.04.2021];

²⁸ „თბილისი პრაიდი“, ერთად გადავრჩებით! - 17 მაისი ონლაინ, 11.05.2020, ხელმისაწვდომია: <https://tbilispride.ge/ka-GE/News/Details/53>, [18.04.2021];

²⁹ „კოალიცია თანასწორობისთვის“, განცხადება „ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები 14 ივნისსა და 16 ივნისს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანებიან“, 17.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/adamianis-uflebebe-momushave-organizaciebi-14-ivnissa-da-16-ivniss-ganvitarebul-movlenebs-ekhmianebian#sthash.F3yoXYTI.dpbs>, [24.04.2021];

³⁰ იხ. Amnesty International, Georgia 2019, ხელმისაწვდომია: <https://www.amnesty.org/en/countries/europe-and-central-asia/georgia/report-georgia/>, [24.04.2021];

³¹ სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ (2019), ციტ. ზემოთ, 04.03.2020, 22;

³² „კოალიცია თანასწორობისთვის“, განცხადება „კოალიცია თანასწორობისთვის საქართველოს მთავრობას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართავს“, 01.06.2019, ხელმისაწვდომია: <https://gyla.ge/ge/post/koalicia-tanastorobistvis-saqartvelos-mtavrobas-da-shinagan-saqmeta-saministors-mimartavs#sthash.IIkimHf5.dpbs>, [04.05.2020];

5.2 შსს-ში სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად სპეციალური დანაყოფის არარსებობა

25. მიუხედავად მინისტრთა კომიტეტის არაერთი პირდაპირი მოთხოვნისა,³³ შექმნილიყო სპეციალური ორგანო, რომელიც გამოიძიებდა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს, დღევანდელი მდგომარეობით ეს ზოგადი ღონისძიება კვლავ არ არის სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული. მართალია, პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს შსს-ის სტრუქტურაში ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნა და მისი მანდატის გაფართოება (ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დამატება), თუმცა იგი ვერ ჩაითვლება დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან მექანიზმად, რასაც ადასტურებს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის დასკვნა და კომიტეტის განმეორებითი მოწოდება, სახელწიფომ შექმნას სპეციალიზირებული საგამომიებო უწყება³⁴ კერძოდ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი მოკლებულია შესაძლებლობას, გამოიძიოს დებულებით გათვალისწინებული კატეგორიის დანაშაულები და სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის, მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს წარმოადგენს.³⁵ თავის მხრივ, გამოძიების პროცესში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებული რეკომენდაციების არასავალდებულო ხასიათი გარკვეულ კითხვის ნიშნებს აჩენს მათი ეფექტიანი აღსრულების თვალსაზრისით.

26. დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს სწორედ ეფექტიანი გამოძიება წარმოადგენს. არაერთ სახელმწიფოს აქვს სპეციალიზირებული დანაყოფები იმ კონკრეტული ტიპის დანაშაულებთან საბრძოლველად, რომლებიც განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენენ, და აქვთ სერიოზული გავლენა დანაშაულის პირდაპირ მსხვერპლებსა თუ საზოგადოებაზე. ასეთია მაგალითად, ოჯახში ან ბავშვთა მიმართ ძალადობის, ტრეფიკინგისა თუ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები, რომლებთან მიმართებითაც გამოიყენება სპეციალიზირებული დანაყოფების დაარსების მოდელი (იხ. მაგალითად, მრავალ

³³ იხ. CM/Notes/1355/H46-8, 25.09.2019, 7, ხელმისაწვდომია:

[http://hudoc.exec.coe.int/eng/?i=CM/Del/Dec\(2019\)1355/H46-8E](http://hudoc.exec.coe.int/eng/?i=CM/Del/Dec(2019)1355/H46-8E) [17.04.2021]

³⁴ ECRI, CRI(2019)4 Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia subject to interim follow-up, 05/03/2019, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>, [17.04.2021];

³⁵ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №11 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ, 04.02.2019;

სხვათა შორის ნიდერლანდების,³⁶ ესპანეთისა³⁷ და შვედეთის³⁸ მოდელები), რომლის მეშვეობითაც საგამომიებო უწყებაში სპეციალური ექსპერტიზის მქონეთა კონცენტრაცია ზრდის ორგანოს რესურსს ამგვარ დანაშაულებთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნებისთვის.³⁹ ამის დასტურია, მაგალითად, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის 2019 წლის ანგარიში, რომელშიც ვკითხულობთ, რომ კომისია ნიდერლანდების მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან წარმატებულ ბრძოლას სწორედ პროკურორის ოფისში არსებულ სპეციალიზირებული დანაყოფის განვითარებას უკავშირებს.⁴⁰

27. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად, და, უმცირესობათა უფლებების ეფექტიანი რეალიზებისთვის შსს-ში, მინისტრთა კომიტეტისა და რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის რეკომენდაციის შესაბამისად, შეიქმნას სპეციალიზირებული საგამომიებო ორგანო.

5.3 სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებისას დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის პრობლემა

28. წლების განმავლობაში სისტემური პრობლემაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ეფექტიანი გამოძიება და პასუხისმგებელ პირთა დასჯა.⁴¹ სახალხო დამცველი 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებს, რომ 2020 წელს გაუმჯობესებულია ტენდენცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთის თვალსაზრისით, ვინაიდან, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლით მიმდინარეობს, რომელიც თავის თავში სიძულვილის მოტივს, როგორც დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებას,

³⁶ ECRI Report on the Netherlands, CRI(2019)19, მიღებულია 02.04.2019, გამოქვეყნებულია 04.06.2019, § 47, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/fifth-report-on-the-netherlands/168094c577>, [25.04.2021];

³⁷ OSCE-ODIHR, International Association of Prosecutors, Prosecuting Hate Crimes, A Practical Guide, 2014, 78, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>, [25.04.2021]; citing: Submissions of Spain's National Point of Contact on Combating Hate Crimes for ODIHR's Hate Crimes in the OSCE Region: Incidents and Responses – Annual Reports for years 2009-2013;

³⁸ Đaković T., Senta C., Guidebook of good practices in combating hate crimes and hate speech, Zagreb, 2019, 52-3, ხელმისაწვდომია: shorturl.at/oyzHK, [25.04.2021];

³⁹ OSCE-ODIHR, International Association of Prosecutors, Prosecuting Hate Crimes, A Practical Guide, 2014, 77-8, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/prosecutorsguide?download=true>, [25.04.2021];

⁴⁰ ECRI Report on the Netherlands, CRI(2019)19, მიღებულია 02.04.2019, გამოქვეყნებულია 04.06.2019, § 47, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/fifth-report-on-the-netherlands/168094c577>, [25.04.2021];

⁴¹ საია-ს განცხადება ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://gyula.ge/ge/post/saia-s-ganckhadaba-homofobiis-transfobiis-da-bifobiis-tsinaaghmddeg-brdzolis-saertashoriso-dghestan-dakavshirebit#sthash.jrPt5loW.dpbs>, [25.04.2021];

მოიაზრებს.⁴² მიუხედავად ამისა, გამოძიების პროცესში შეინიშნება ისეთი ხარვეზები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ გამოძიების ეფექტიანობაზე. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებები სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით ტარდება, თუმცა უცნობია კონკრეტულად რომელი საგამოძიებო ან/და საპროცესო მოქმედებები ტარდება, ამასთან, მკვეთრად დაბალია პირთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების ან ბრალდებულად ცნობის მაჩვენებელი.⁴³ მნიშვნელოვანია, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები გამოძიებულ იქნას ეფექტიანი გამოძიებისთვის საჭირო ყველა სტანდარტის დაცვით, მათ შორის, საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, პირთათვის დაზარალებულის სტატუსის დროული მინიჭებისა და სავარაუდო დამნაშავეთათვის ბრალის გონივრულ ვადაში წარდგენის თვალსაზრისით. სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის წინააღმდეგ სახელმწიფოს არაეფექტიანი პოლიტიკა კი ლგბტ+ პირების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ მკვეთრად ამცირებს.⁴⁴

5.4 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა

29. დღევანდელი მდგომარეობით, პრობლემურია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის გამოყოფის შესაძლებლობის არარსებობა. კერძოდ, კოდექსის 35-ე მუხლი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დამამძიმებელ გარემოებათა ამომწურავ ჩამონათვალს ითვალისწინებს. მათ შორის არ გვხვდება შეუწყნარებლობის/სიძულვილის მოტივი, რაც იმას ნიშნავს, რომ ლგბტ+ თუ იეჰოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც, საგამოძიებო ორგანოს შეფასებით, თავისი სიმძიმით, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედებისთვის საჭირო სტანდარტს ვერ აღწევს, მაგრამ კვალიფიცირდება, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონკრეტული მუხლის მარტივი შემადგენლობა (როგორც ეს მოხდა, მაგალითად, 2020 წლის 21-22 ივლისს „თბილისი პრაიდის“ მიმართ მომხდარ ქმედებებზე რეაგირებისას), დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა თეორიულადაც შეუძლებელი ხდება.⁴⁵ ამ პრობლემაზე, ასევე, არაერთ ანგარიშში საუბრობს

⁴² საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ (2020), 31.03.2021, 182;

⁴³ იქვე;

⁴⁴ 2020 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, U.S. Department of State, 30.03.2021, 61, ხელმისაწვდომია: <https://www.state.gov/reports/2020-country-reports-on-human-rights-practices/georgia/>, [19.03.2021];

⁴⁵ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება, 02.09.2020, ხელმისაწვდომია, <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministros-gantskhadeba/13923> [16.04.2021];

სახალხო დამცველი.⁴⁶ სიძულვილის მოტივის, როგორც დამამძიმებელი გარემოების არარსებობის პირობებში, ცხადია, სრულყოფილი ვერ იქნება ამგვარ ქმედებებზე სტატისტიკის წარმოება, რაც კიდევ უფრო გაართულებს სახელმწიფოსა თუ სხვა დაინტერესებული პირების მიერ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სრული სურათის დანახვისა და, შესაბამისად, ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობას. ასევე, ერთნაირი შეფასება ეძლევა დისკრიმინაციული ნიშნით და მის გარეშე ჩადენილ ერთი და იმავე სამართალდარღვევას, რაც გარკვეულწილად აზრს უკარგავს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლას.

30. ხაზგასასმელია, რომ დისკრიმინაციული მოტივის არარსებობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, კიდევ ერთი გამოვლინებაა აღნიშნული კოდექსის ხარვეზიანი ბუნების, მთელ იმ დარღვევათა წყებასთან ერთად, რაც ამ კოდექსის მიერ ადამიანების სამართლიანი სასამართლოს უფლების გარანტიების გარეშე დატოვებაში გამოიხატება.. შესაბამისად, სახელმწიფომ საჭირო საკანონმდებლო ცვლილები უნდა განახორციელოს, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისკრიმინაციული მოტივის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოების, ინკორპორირება მოხდება. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიაში განახორციელოს უკვე წლების განმავლობაში მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეფორმა.

6. რეკომენდაციები

- I. შეიქმნას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შიგნით სპეციალიზირებული საგამოძიებო ერთეული, რომელსაც სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება ექნება.
- II. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლითაც განისაზღვრება დისკრიმინაციული მოტივის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების, გამოკვეთის შესაძლებლობა.
- III. შევიდეს ცვლილება კანონმდებლობაში, რომლითაც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისთვის გათვალისწინებული სასჯელების გადახედვა ან სპეციალური ხანდაზმულობის ვადების დადგენა მოხდება.

⁴⁶ Communication from an NHRI (Public Defender (Ombudsman) of Georgia) (05/08/2020) concerning the IDENTOBA AND OTHERS group of cases v. Georgia (Application No. 73235/12), 07.09.2020, ხელმისაწვდომია: [http://hudoc.exec.coe.int/eng/?i=DH-DD\(2020\)775E](http://hudoc.exec.coe.int/eng/?i=DH-DD(2020)775E), [25.04.2021]; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019, 37;

- IV. განხორციელდეს დისკრიმინაციის აკრძალვისა და სიმულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები.
- V. გატარდეს ქმედითი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლგბტ+ პირებისა და რელიგიური უმცირესობების ნდობის გამყარებას სამართალდამცავი ორგანოებთან მიმართებით.
- VI. გაითვალისწინოს ლგბტ+ ადამიანებისა და რელიგიური უმცირესობების ინტერესები და საჭიროებები საქართველოს მთავრობამ Covid-19-ით გამოწვეულ პანდემიასთან ბრძოლის წინააღმდეგ რეგულაციების შემუშავებისას.